შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

უმნიშვნელოვანესი ქართული სასულიერო და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი მდებარეობს საბერძნეთში ათონის მთაზე. ათონის ივერთა მონასტერი დაარსებულია 980-983 წლებში იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მიერ. აქ ჩამოყალიბდა ძლიერი მწიგნობრული კერა, რის საქმიანობაშიც მრავალი მწერალი, მთარგმნელი თუ გადამწერი მონაწილეობდა. ივირონში მოღვაწეობდენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები რომელიც ქართული სასულიერო მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელები იყვნენ. ათონის მთაზე იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები, ითარგმნებოდა ლიტერატურული, რელიგიურ-ფილოსოფიური ნაწარმოებები, მზადდებოდა და მრავლდებოდა ხელნაწერები რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში იგზავნებოდა.

ათონის საგანმანათლებლო სკოლა ღრმა კვალს ამჩნევს შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასა და კულტურას, ქართველი მოღვაწეების თეოლოგიური და სამეცნიერო აზრის განვითარებას. გასათვალისწინებელია ის როლიც რომელიც ათონის სკოლამ შეასრულა ქართულ-ბიზანტიური კულტურულ ურთიერთობების განსამტკიცებლად. ათონის სკოლის მეშვეობით შევიდა ბიზანტიურ ლიტერატურაში იქიდან კი ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც ქართულისგან ბერძნულად ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა.

XI საუკუნის შემდეგ ათონზე ქართველთა აქტიურობა თანდათანობით იკლებს და ბოლოს საერთოდ წყდება. დროთა განმავლობაში ბერები სამონასტრო კომპლექსის საკუთრების უფლებას ჰკარგავენ და XIX საუკუნისთვის მონასტერს მთლიანად ბერძნები განაგებენ თუმცა იქ ქართველები გასული საუკუნის 50-ან წლებამდე მაინც არსებობენ.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ სხვადასხვა ერის კულტურათა დაახლოება უკეთ წარმოაჩენს თითოეული მათგანის უნიკალურობასა და თავისთავადობას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ მურმან ლებანიძის ლექსი „ლეგენდად დარჩეს!“

გალაკტიონი
    ტიციანთან ყოფილა უბრად,
ტიციანს
    თავის პოეტებში ჰქონია სუფრა,
და იჯდა თურმე
    ჩვენი დენდი საერთო ჯამთან -
უხორცო იყო,
    ცოტას სვამდა და ცოტას ჭამდა;
გალაკტიონი
    შემოსულა დუქანში ამ დროს,
მარტო დამჯდარა,
    მარტოსული, და უსვამს მარტოს;
არ მიუხმია
    ის ტიციანს, არა და არა,
და ასე უბრად,
    უხერხულად კარგა ხანს მსხდარან.
უცებ... (მახლობლად
    პურს ნაჭამა რეგვნების ჯგუფი)
გალაკტიონთან
    ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი:
პოეტი მეფე
    ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის, -
უკადრებია
    რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის...
აჰფეთქებია
    აქ ტიციანს უეცრად დენთი,
წამოვარდნილა
    ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჭიქა,
    შეუხსნია კისერზე ბანტი
და უხეთქია
    რეგვნულ შუბლში
        რეგვნისთვის კვარტი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

და დარევიან
    პოეტები ერთპირად რეგვნებს
და ჭახაჭუხი
    შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს;
და როცა ჩვენი
    ლომკაცები ბრძოლით გამძღარან,
დაუფრენიათ
    თხებივით და, ომი დამცხრალა,
- ტიტე, ძამიკო! -
    შეშლილივით აყვირებულა
გალაკტიონი
    და ორთავე ატირებულა...
ორპირის ფშანზე
    გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული
ამოსჯდომიათ,
    ხვევნა-კოცნა შექმნილა ძმური;
გადმოსცვენია
    შვების ცრემლი ტიციანს მისით,
რაც ექნებოდათ
    სამდურავი იციან, ვიცით!
დიდი ბავშვები!
    ამდგარან და დამსხდარან ერთად
და პოეზია
    უთქვამთ პირველ
        საერთო ღმერთად.
პაოლოს გარდა
    ამ საქმეში ყოფილა გოგლა,
ყოფილა სმა და
    გადარევა ყოფილა ოხრად.
ეს ყველაფერი
    მე მიამბო „არაგვში“ გალამ
და, თუ ვუმატებ,
    ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმალავ,
არამი იყოს
    ის წარწერა: „სულით და გულით!“
იქ, იმ სარდაფში
    მიღებული ღვინო და პური!
გული გულს იცნობს,
    ღონე ღონეს, მარჯვენი მარჯვენს...
ლეგენდად დარჩეს,
    მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რა ინფორმაციით იწყებს ავტორი ამბის თხრობას?

ა) გალაკტიონი და ტიციანი ერთად შევიდნენ დუქანში.

ბ) გალაკტიონი და ტიციანი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ.

გ) გალაკტიონი და ტიციანი მეგობრებთან ერთად ქეიფობდნენ.

დ) გალაკტიონი და ტიციანი „რეგვნებს“ ერთად შეებრძოლნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. ვის გულისხმობს ავტორი ფრაზაში: „თავის პოეტებში ჰქონია სუფრა“?

ა) არისტოკრატებს.

ბ) დადაისტებს.

გ) თაყვანისმცემლებს.

დ) ცისფერყანწელებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. რომელი სიტყვებით მიუთითებს ავტორი იმ პოეტის არტისტულ ბუნებაზე, რომელსაც საზოგადოებაში გამოჩენისას წითელი მიხაკი ჰქონდა ხოლმე მკერდზე დამაგრებული?

ა) „უხორცო იყო“.

ბ) „ჩვენი დენდი“.

გ) „ცოტას სვამდა“.

დ) „ცოტას ჭამდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. რომელი სიტყვით ახასიათებს ავტორი გალაკტიონს?

ა) „დენდი“.

ბ) „მარტოსული“.

გ) „ლომკაცი“.

დ) „ლორდი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. როგორი ადამიანის დასახასიათებლად იყენებს ავტორი სიტყვას „რეგვენი“?

ა) რომელმაც არ იცის გალაკტიონის ფასი.

ბ) რომელმაც არ იცის მეგობრების პატივისცემა.

გ) რომელსაც არა აქვს დროსტარების უნარი.

დ) რომელსაც არ შეუძლია თავის გაწირვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. ტიციანის რა რეაქცია მოჰყვა „რეგვნის“ საქციელს?

ა) აღშფოთება.

ბ) გაოცება.

გ) კმაყოფილება.

დ) შეშინება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. რა გააკეთა ტიციანმა „რეგვნის“ მოქმედების საპასუხოდ?

ა) აიძულა ბოდიში მოეხადა.

ბ) ბოთლი ჩაარტყა თავში.

გ) კისრიდან ბანტი ჩამოჰგლიჯა.

დ) უკადრისი სიტყვებით გალანძღა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. რა მოჰყვა ტიციანის საქციელს?

ა) გალაკტიონმა იქაურობა დატოვა.

ბ) დიდი ჩხუბი ატყდა.

გ) პოეტები გაიქცნენ.

დ) დუქანი დაიკეტა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებით: „ომი დამცხრალა“?

ა) ნადიმი დასრულდა.

ბ) პოეტები დამარცხდნენ.

გ) „რეგვნები“ გაიქცნენ.

დ) ჩხუბი დამთავრდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: „შეშლილივით აყვირებულა გალაკტიონი და ორთავე ატირებულა“?

ა) გაპიროვნებას.

ბ) მეტაფორას.

გ) შედარებას.

დ) ჰიპერბოლას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. რა დადებითი შედეგი მოჰყვა დუქანში გამართულ ჩხუბს?

ა) დამდურებული ნათესავები შერიგდნენ.

ბ) პოეზია უპირველეს ღმერთად აღიარეს.

გ) პოეტები რეპრესიებს გადაურჩნენ.

დ) პოეტები ცნობილნი გახდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მეტაფორას?

ა) „არამი იყოს ის წარწერა: „სულით და გულით!“

ბ) „აჰფეთქებია აქ ტიციანს უეცრად დენთი“.

გ) „დაუდგამს ჭიქა, შეუხსნია კისერზე ბანტი“.

დ) „ლეგენდად დარჩეს, მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. ცნობილი პოეტების რომელ თვისებებზე მიგვანიშნებს ავტორი, როდესაც მათ „დიდ ბავშვებს“ უწოდებს?

ა) მიამიტობასა და გულწრფელობაზე.

ბ) მიმტევებლობასა და თავმდაბლობაზე.

გ) სიმამაცესა და თავგანწირვაზე.

დ) სიამაყესა და მედიდურობაზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?

ა) თვითმკვლელობის.

ბ) ნამდვილი მეგობრობის.

გ) პოეზიის უზენაესობის.

დ) ურთიერთდახმარების.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. რა არის ავტორის მთავარი სათქმელი?

ა) გალაკტიონი და ტიციანი დიდი პოეტები იყვნენ.

ბ) გალაკტიონი და ტიციანი ნამდვილი პატრიოტები იყვნენ.

გ) გალაკტიონსა და ტიციანს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

დ) გალაკტიონსა და ტიციანს გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ხატავს ავტორი „პოეტი მეფის“ მხატვრულ სახეს;
- იმსჯელეთ ტიციანის მხატვრული სახის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მის გარემოცვას);
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თვისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“.

და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაი, რაითამცა მოიყვანეს წმიდაი შუშანიკცა. და ვითარ მოიწია ჟამი პურისაი, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს, და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოი არარაისაი იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქით და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა და ღვინოი იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა, და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაი მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა. და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვაი მისი და ბორკილთა შესხმაი ფერხთა მისთა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ეევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ. და ვითარ ფრიად ეევედრებოდა, ბრძანა განტევებაი მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაი და კრძალულად დაცვაი მისი ერთითა მსახურითა და რაითა სხუაი არავინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: „წყლულებისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“. მაშინ თვით შევიდა და იხილა იგი და დაუკვირდა დიდძალი იგი სიმსივნეი მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა!“ და თვით ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოი შემიტევე და ვიხილო წყლულებაი იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუუკუე ცნას და მომკლას მე“. და მე ვარქუ მას: „უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთვის, რაი არს?!“

მაშინ შემიტევა მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ხმაი და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამეი ესე“. და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს:

„მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგადვა, რაითა, ჰე, ღა-მე-თუ განიკურნო!“ ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, მაგას ნუ იტყუი, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაი“.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოის ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. მაშინ მოვიღე მცირედ ღვინოი და პური, დავალბე და მცირედ გემოი იხილა.

და მე ვისწრაფდი გამოსლვად. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვდეს; რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეხმარების“. ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა“. და ჩუენ-ღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაი ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ: „რაი გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკვირდა, თუ რაისა-მე მიწესს ამას ჟამსა, და მივისწრაფე და მივედ.

და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს? მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს-იგი არა ჩემი ცოლი არს. იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაიცა რაი არს“.

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად, და მადლი მისცა ღმერთსა, და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რომელ ფრაზაში ჩანს ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ?

ა) „განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა“.

ბ) „შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად“.

გ) „მოვიდა სპარსი იგი და მხურვალედ ეევედრებოდა მას“.

დ) „ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოი ჭიქით“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. რომელი ფრაზა მიანიშნებს, რომ ამ ოჯახურ პურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა?

ა) „მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაი“.

ბ) „რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს“.

გ) „შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა“.

დ) „ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რას აღნიშნავს ტექსტში სიტყვა „ტაძარი“?

ა) ეკლესიას.

ბ) სასახლეს.

გ) სატუსაღოს.

დ) სენაკს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. როგორ დამოკიდებულებას გამოხატავს შუშანიკი ოჯახური პურობის მიმართ?

ა) არ სურს წასვლა, რადგან პურობაზე, გარდა ოჯახის წევრებისა, სხვებიც იქნებიან.

ბ) არ უნდა წასვლა, მაგრამ იძულებულია ახლობელთა დაჟინებულ მოთხოვნას დაემორჩილოს.

გ) სურს პურობაზე წასვლა, რათა ოჯახის წევრებს ქმართან არსებულ უთანხმოებაზე ელაპარაკოს.

დ) ძალიან უნდა წასვლა, მაგრამ ვერ ბედავს ქმართან მომხდარი დაპირისპირების გამო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. რა გახდა პურობაზე შუშანიკის გაცხარების მიზეზი?

ა) დაინახა, რომ ოჯახში ტრადიციულისაგან განსხვავებული, უცხო წესი შემოჰქონდათ.

ბ) გამოჩნდა, რომ ჯოჯიკის ცოლი მის მიმართ უპატივცემულობას გამოხატავდა.

გ) დარწმუნდა, რომ ჯოჯიკი და მისი მეუღლე ნამდვილი მტრები იყვნენ.

დ) დაეჭვდა, რომ ჯოჯიკის ცოლის მიერ მოწოდებული ღვინო მოწამლული იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი შედარებას?

ა) „ვითარცა მხეცი მძვინვარეი ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“.

ბ) „მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა“.

გ) „იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას“.

დ) „აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. რა ბრალს უყენებდა ვარსქენი ცოლს ცემის დროს?

ა) რომ შუშანიკი ღვთის უარმყოფელი იყო.

ბ) რომ შუშანიკი ოჯახის დამაქცეველი იყო.

გ) რომ შუშანიკი მდაბიო წარმომავლობისა იყო.

დ) რომ შუშანიკი სამშობლოს მოღალატე იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რა სთხოვა სპარსმა ვარსქენს?

ა) შუშანიკი საგანგებოდ დაეცვა.

ბ) შუშანიკისათვის ბორკილები მოეხსნა.

გ) შუშანიკისათვის ბოდიში მოეხადა.

დ) შუშანიკი სენაკში გადაეყვანა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ პიტიახშმა მეუღლე სასტიკად აწამა?

ა) „არა მისი განზრდილი ხარა?“

ბ) „ნუუკუე ცნას და მომკლას მე“.

გ) „ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა!“

დ) „ვერ განსარინებელ არს იგი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ის ფაქტი, რომ ვარსქენი შუშანიკის მდგომარეობით დილაუთენია დაინტერესდა?

ა) რომ მას თავისი დაუფიქრებელი საქციელის გამოსყიდვა სურს.

ბ) რომ მას ცოლისათვის ბოდიშის მოხდა აქვს გადაწყვეტილი.

გ) რომ მისთვის სულერთი არ არის ნაცემი ცოლის მდგომარეობა.

დ) რომ არ უნდა, სანადიროდ წასვლაში რაიმემ ხელი შეუშალოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ იაკობ ხუცესი, პიტიახშის აკრძალვის მიუხედავად, დედოფლის სანახავად შესვლას ახერხებს?

ა) ხუცესი გაბედული და ძლიერი პიროვნებაა.

ბ) მცველი ანგარებიანი და მექრთამე კაცია.

გ) მსახურებს პიტიახშზე მეტად ხუცესის ეშინიათ.

დ) ხუცესს სასახლეში პიტიახშზე დიდი გავლენა აქვს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. როგორ აფასებს დედოფალი იაკობ ხუცესთან საუბარში ვარსქენის მიერ მიყენებულ ტანჯვას?

ა) როგორც დამსახურებულ სასჯელს.

ბ) როგორც დიდი სიხარულის დასაწყისს.

გ) როგორც დაუმსახურებელ შეურაცხყოფას.

დ) როგორც მომავალი დაპირისპირების საბაბს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რას იმეორებს ვარსქენი ხაზგასმით იაკობ ხუცესთან საუბრის დროს?

ა) რომ გამოჩნდება ვინმე, ვინც შუშანიკის სამკაულებს შეიფერებს.

ბ) რომ დაუშვებელია სადედოფლო სამკაულები შუშანიკისნაირმა ქალმა ატაროს.

გ) რომ შუშანიკს, რომელმაც შეარცხვინა, მაინც თავის ცოლად მიიჩნევს.

დ) რომ ჰონებთან საბრძოლველად შუშანიკთან კონფლიქტის გამო მიდის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. **ვარსქენის რა თვისებები ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში -** „და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად“?

ა) უნდობლობა და ეჭვიანობა.

ბ) ყურადღებიანობა და სიფრთხილე.

გ) სისასტიკე და დაუნდობლობა.

დ) გულჩვილობა და მიმტევებლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. რა არის ავტორის მთავარი სათქმელი ამ მონაკვეთში?

ა) ნებისმიერი ადამიანი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

ბ) ძალაუფლებისათვის ბრძოლისას ადამიანებზე ძალადობა შეიძლება გამართლებულიც კი იყოს.

გ) ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ადამიანმა მიმტევებლობა უნდა გამოიჩინოს.

დ) საკუთარი პრინციპების ერთგულება ადამიანს განსაკუთრებული სულიერი სიმტკიცით აღავსებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ვარსქენის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, როგორ იხატება ამ ტექსტში იაკობ ხუცესის მხატვრული სახე;
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებით არის რეალიზებული ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე